



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კასრისხევი

კასრისხევი, კ ა ს ა რ ა, თერგის ხეობის შვეინროებული, კლდეკარისებრი მონაკვეთი თრუსოს ხეობის ქვემო ნაწილში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. კობიდან 5-6 კმ დაშორებით. სიგრძე 2 კმ. ფსკერის სიმაღლე ზ. დ. 2100-2200 მ. წარმოიქმნა მეოთხეული პერიოდის ბოლოს, მცირე ხორისარის ვულკანის კრატერიდან ამონთხეული ლავური ღვარის ეროზიული მოქმედების შედეგად. კ-ში არის უხვდებიტიანი მინერ. წყაროები. აუწერელ სილამაზეს ქმნის წყლის მიერ მოდელირებული ტრავერტინული „მინდვრები“.

ლ. მარუაშვილი
